

ს.ს.ი.პ ”საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”  
ადმსრულებელი საბჭოს  
სხდომა

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ. თბილისი, ბარნოვის ქ № 75

სხდომის დაწყების დრო: 19:50

სხდომაზე დამსწრე აღმსარულებელი საბჭოს წევრები:

ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე, ქეთევან ბექაური, ცისმარი ონიანი, ბესარიონ აბაშიძე, იოსებ ბარათაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” საერთო კრების თარიღის განსაზღვრა და კრების დღის წესრიგის განხილვა;
2. აღმსრულებელი საბჭოს წევრების საკურატორო სფეროების პროგრამების განხილვა და დამტკიცება;
3. ასოციაციაში გაწევრიანების მსურველთა დოკუმენტაციის განხილვა და გაწევრიანება;
4. 2010 წლის საგაზაფხულო ტესტირების საკვალიფიკაციო კომისიის დამტკიცება;
5. ეთიკის კომისიის ბიუჯეტის დამტკიცება;
6. ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;
7. სხვა მიმდინარე საკითხები /მათ შორის, ზაურ მარხულიას განცხადების განხილვა წევრობის შეწყვეტის შესახებ/.

*საბჭოს მსჯელობის შედეგად ერთხმად*

**გ ა დ ა წ ე დ ა :**

1. ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” საერთო კრების თარიღად განისაზღვროს მიმდინარე წლის 19 ივნისი;
2. ასოციაციის თავმჯდომარეს გაეგზავნოს საკურატორო მიმართულებების მიხედვით გეგმები პროექტის სახით, რომლებიც თავმჯდომარის მიერ განხილვის შემდეგ წარედგინოს საბჭოს დასამტკიცებლად;

3. გაწევრიანების მსურველი 31 კანდიდატიდან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებულ იქნას 30 პირი, ხოლო ერთ კანდიდატს დავით კალაიჯიშვილს ეთქვას უარი საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნასთან მისი კანდიდატურის შეესაბამების გამო;
4. 2010 წლის საგაზაფხულო ტესტირების საკვალიფიკაციო კომისია დამტკიცდეს სხდომაზე წარმოდგენილი შემადგენლობით;
5. არ დაკმაყოფილდეს ზაურ მარხულიას განცხადება ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ საწევრო დავალიანების არსებობის გამო.

**ზაზა ხატიაშვილი**

**ასოციაციის თავმჯდომარე**